ქალაქ თბილისის მთავრობა

01.02.02

დადგენილება № _____

„ 5 „ იანვარი 2010 წ.

№05
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
„14" იანვარი 2010 წ.
№ 240.120.000.37.101.000.002.

გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/მშენებლობის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23^1 და 28 მუხლების საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების სახეობის, გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობის განთავსება/მშენებლობა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების გარეშე, ქალაქის იერსახის გათვალისწინებით.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სარეკლამო საშუალებების ქალაქის იერსახესთან, სამშენებლო ნორმებსა და წესებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელს, რომელიც ვალდებულია ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის (ზედამხედველობიას საქალაქო სამსახური, სსიპ - „ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური") პირველივე მოთხოვნისთანავე მოახდინოს სარეკლამო საშუალების დემონტაჟი.

3. ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალიწინებულ შემთხვევაში, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელი ვალდებულია

გარე რეკლამის ნებართვით გათვალისწინებული სარეკლამო საშუალების განთავსება/მშენებლობისას, წერილობით აცნობოს ქ. თბილისის მერიის სსიპ - „ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს", ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს.

4. თუ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელს არ სურს ამ დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების აღება, მასზე არ ვრცელდება დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტის მოქმედება და გარე რეკლამის ნებართვით გათვალისწინებული სარეკლამო საშუალების განთავსება/მშენებლობა წარმოებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად.

5. დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება დავით აღმაშენებლის გამზირზე, შოთა რუსთაველის გამზირზე, კოტე აფხაზის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩებზე, ვახტანგ გორგასლისა და თავისუფლების მოედანზე.

6. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა